„კუპელჰალე", იგივე გუმბათიანი დარბაზი, გიორგი ჩუბინაშვილის მიერ დამკვიდრებული ტერმინია ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში. ეს არის ეკლესიის ტიპი, რომელშიც გუმბათის საყრდენად კედლის შვერილებია გამოყენებული და არა ბურჯები. ამ ტიპის ოცი ქართული ეკლესიაა შემორჩენილი. ეს წიგნი პირველი გამოცემაა ქართული კუპელჰალეების შესახებ, რომელშიც მოცემულია დღეს ცნობილი ამ სახის ყველა ძეგლი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, დაწყებული VIII საუკუნიდან, დამთავრებული XIX საუკუნის დასაწყისით.

წიგნს ახლავს:

- *ეკლესიების განლაგების ამსახველი რუკა, ნახაზები, საარქივო ფოტოები და 150-ზე მეტი ახალი ფოტოგრაფია;*
- *ილუსტრაციები და ნახაზები ქართული და ინგლისური წარწერებით;*
- *ინგლისურენოვანი ანოტაციები;*
- *მასალა უცხოური მსგავსი ძეგლების შესახებ;*
- *მასშტაბში მოცემული ქართულ და უცხოურ ძეგლთა ტაბულები.*

წიგნი-ალბომი გამოადგებათ ხელოვნებათმცოდნეებს, ისტორიკოსებს, სტუდენტებს, ტურისტულ ორგანიზაციებს და ყველას, ვინც ქართული არქიტექტურული მემკვიდრეობითაა დაინტერესებული.